მედიის განვითარების ფონდის სპეციალური გამოშვება



ბიულეტენი №3

16. 05 –19.05.2013

მონიტორინგი

17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების შეფასება

მედიის განვითარების ფონდი სპეციალურ გამოცემას უთმობს მედიაში 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების გაშუქების მონიტორინგს. იმ სიძულვილის გარემოს შექმნაში, რომლის გამოვლენის მომსწრეც საზოგადოება 17 მაისს გახდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, თავისი წვლილი მედიასაც მიუძღვის. მართალია, უშუალოდ 17 მაისს მედია, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დაბალანსებულად გაეშუქებინა მოვლენები, თუმცა მედიის პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთი დღით არ შემოიფარგლება. ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში საკითხებში ჟურნალისტთა გაუთვითცნობიერებლობა და პროფესიული სტანდარტების გაუაზრებელი უგულვებელყოფა, ცალკეულ შემთხვევებში კი მკაფიოდ ჩამოყალიბებული დისკრიმინაციული სარედაქციო პოლიტიკა ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა საზოგადოებაში შეუწყნარებლობის გარემოს გაღვივების თვალსაზრისით.

გაგრძლება გვ. 16

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და ის შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

მედიაში 17 მაისის მოვლენების გაშუქების მონიტორინგი

წინამდებარე მონიტორინგი 17 მაისის აქციისთვის სამზადისს, თავად აქციის დარბევის გაშუქებას და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზეა ფოკუსირებული. მონიტორინგი შემთხვევითი შერჩევის პრინციპითაა განხორციელებული და არა მხოლოდ I არხს, რუსთავი 2-ს, იმედს, მაესტროს, კავკასიას, მე-9 არხს, ობიექტივს, გაზეთებს-ალიასა და რეზონანსს მოიცავს, არამედ რადიო თავისუფლებას, ნეტგაზეთს, ტაბულას, ამბები.გი-ს, ინფო 9 -ს, news.ge-ს, ივერიონისა და სოციალური ქსელებით გავრცელებულ იმ მასალებსაც, სადაც ძალადობა და ძალადობისკენ მოწოდებაა ასახული. დაკვირვება 16-19 მაისს განხორციელდა.

მონიტორინგის მთავარი მიგნებები:

- ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც 17 მაისის მოვლენების გაშუქების დროს გამოიკვეთა, ტერმინოლოგიური უზუსტობა იყო. დღის გამოშვებებში, ტელეკომპანიების უმრავლესობამ, მათ შორის, რუსთავი2-მა, იმედმა, მე-9 არხმა ჰომოფო-

გაგრძლება გვ. 2

რადიო "ფორტუნას" ჟურნალისტი ხატია კალანდაძე აქციაზე თავის არეში ქვის მოხვედრის შედეგად დაშავდა.

მედიაში 17 მაისის მოვლენების გაშუქების მონიტორინგი

ბიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის ორგანიზატორები ლგბტ-ის წარმომადგენლებად და სექსუალურ უმცირესობებად მოიხსენიეს. მოგვიანებით ტელეკომპანია რუსთავი 2-ის წამყვანმა გიორგი გაბუნიამ ამ უზუსტობისთვის ბოდიში მოიხადა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში დღის გამოშვებებში ჟურნალისტები აქციის მონაწილეებს, ჩართვის დროს, კვლავ ლგბტ-ის წარმომადგენლებად მოიხსენიებდნენ. ანალოგიური ვითარება იყო ტელეკომპანია იმედის ეთერშიც. მე-9 არხის 9 საათიან გამოშვებაში კი წამყვანები აქციის ორგანიზატორებს კვლავ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებად მოიხსენიებდნენ, ხოლო სიუჟეტში გავიდა ერთ-ერთი ჟურნალისტის სინქრონი, რომელიც მათ გეებს უწოდებს. ტელეკომპანია "იმედის" 18 მაისის 8 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში ლგბტ-ის უფლებადამცველები კვლავ ლგბტ-ს წარმომადგენლებად არიან მოხსენიებული. ამ მხრივ გამონაკლისი იყო ტელეკომპანია "კავკასია", მაესტროსა და რუსთავი 2-ის საღამოს საინფორმაციო გამოშვებები, ასევე P.S.

- ტერმინოლოგიური უზუსტობა ბეჭდურ მედიაშიც აღინიშნა: 16 მაისის "ალიაში" გამოქვეყნდა ინტერვიუ ელიზბარ ჯაველიძესთან, სადაც ჟურნალისტი ნინო სამხარაძე 17 მაისის აქციას გეი აღლუმად მოიხსნიებს.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის სექსუალური ორიენტაცია, ისევე როგორც მისი რელიგიური მრწამსი, ეთნიკური თუ პოლიტიკური კუთვნილება ან სხვა მახასიათებელი თვითიდენტიფიცირების სფეროა. თუკი პიროვნებები არ ახდენს მისი სექსუალური ორიენტაციის იდენტიფიცირებას, ჟურნალისტთა მხრიდან აქციის ორგანიზატორთა და მონაწილეთა სექსუალურ უმცირესობებად მოხსენიება არასწორია და პროფესიული სტანდარტის დარღვევაა.

- ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უზუსტობა ტელეკომპანია იმედის წამყვანმაც დაუშვა, როდესაც აქცია სანქცირებულად მოიხსენია, რადგან საქართველოს კანონმდებლობა შეკრებებისა და მანიფესტაციების სანქცირებას არ სცნობს. აღნიშნულ შემთხვევაში, ქცევის კოდექსის იმ ნორმის დარღვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც სიზუსტის დაცვას და აუდიტორიის შეცდომაში შეყვანისგან დაცვას ითვალისწინებს.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის 8 საათიან მოამბეში დარღვეული იყო ბალანსი რესპონდენტთა შერჩევის თვალსაზრისით, კონტრაქციის მონაწილეთა სასარგებლოდ. მართალია, ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის მონაწილეთა ჩაწერა, მათი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ობიექტურად წარმოადგენდა სირთულეს, თუმცა, საღამოს გამოშვებაში ტელეკომპანიას შეეძლო თანაზომადად წარმოედგინა სხვა უფლებადამცველები.

- ზოგიერთმა სამაუწყებლო მედია საშუალებამ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ის ნორმაც (მუხლი 12-13) დაარღვია, რომელიც ფაქტების სიზუსტის დაცვას ითვალისწინებს. ტელეკომპანია მე-9 არხმა დღის 13 საათიან გამოშვებაში გაავრცელა ინფორმაცია პოლიციის მიერ ცრემლსადენი გაზის გამოყენების შესახებ, რისი 14 საათიან გამოშვებაში უარყოფა მოხდა, თუმცა დაშვებული უზუსტობის გამო რედაქციას ბოდიში არ მოუხდია. ფაქტობრივი უზუსტობების თვალსაზრისით გამორჩეული იყო ტელეკომპანია "იმედის" (8სთ) 17 მაისის სიუჟეტი, რომელიც შეეხებოდა 2012 წლის 17 მაისის აქციას და 2010 წლის წლის ბათუმის გეი აღლუმს, რომლის

მედიაში 17 მაისის მოვლენების გაშუქების მონიტორინგი

ჩატარების ნამდვილობა არცერთი წყაროთი არ დადასტურებულა, თუმცა, სიუჟეტში ეს აქცია რეალურ ფაქტად იყო წარმოდგენილი.

- ქრონიკის ზემოხსენებულ სიუჟეტი გაუმართლებელ განზოგადებას შეიცავდა, თითქოს სასულიერო პირები, მართლმადიდებელი მრევლი და არასამთავრობოები ყოველწლიურად ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს ერთიანდებიან და ძალადობა ლგბტ-ის უფლებადამცველთა მიმართ კანონზომიერებაა.

- გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ჰომოსექსუალობას ავადმყოფობად მოიხსენიებენ რესპონდენტები, ხოლო ჟურნალისტები (პოზიცია - რუსთავი2, ღია ეთერი და ქრონიკა - იმედი, ობიექტივი) მსგავსს შეფასებებზე, თანამედროვე სამედიცინო დასკვნების საფუძველზე, არ რეაგირებდნენ. გარკვეულ შემთხვევებში კი თავად ჟურნალისტები (ობიექტივი) ახდენდენ მსგავსი მოსაზრების ტირაჟირებას. ტელევიზიებიდან მხოლოდ მაესტროს 17 მაისის 9 საათიან საინფორმაციო გამოშვებაშია აღნიშნული, რომ ჰომოსოქსუალობა დაავადებათა ნუსხიდან ამოღებულია.

- ზოგიერთ გამოშვებაში შესაძლებელი იყო იმ ადამიანთა იდენტიფიცირება, ვინც კონტრაქციის მონაწილეთა ძალადობის სამიზნე იყო. მაგალითად, კურიერის (რუსთავი 2) დღის ეთერში გავიდა კადრები ავტობუსიდან, რომელიც პოლიციამ ძალადობის ადგილიდან გაიყვანა და სადაც ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის მონაწილეები ისხდნენ. მითითებული იყო ავტომობილის მარშრუტი, რაც იმ პირობებში, როცა კონტრაქციის მონაწილეები მთელ ქალაქში დევნიდნენ აქციის მონაწილეებს, გაუმართლებელი იყო.

- რესპონდენტთა მხრიდან სიძულვილის ენას გარკვეულ შემთხვევებში წამყვანთა მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

- აღსანიშნავია, რომ ნეტგაზეთმა უმრავლესობის ლიდერის მიერ რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაკეთებული დისკრიმინაციული და ჰომოფობიური განცხადებების გამოქვეყნების გამო, საზოგადოებას ბოდიში მოუხადა და გამოქვეყნების ფაქტი მმართველი გუნდის საპარლამენტო ლიდერის, როგორც საჯარო ფიგურის, შეხედულებათა მიმართ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესით ახსნა.
http://www.netgazeti.ge/GE/105/News/19709/

კონკრეტული მაგალითები

ალია, 16 მაისი

ჟურნალისტი ნინო სამხარაძე ტერმინოლოგიური უზუსტობის გარდა, ახალი ხელისუფლების ქმედებებს უმცირესობებთან მიმართებით ეროვნულ და რელიგიურ თემებთან შეუთავსებლად აფასებს.

გაგრძელება გვ. 4

ძალადობის ქრონიკა

ძალადობა, მოწოდება ძალადობისკენ

რუსთავი 2, 17 მაისი

კურიერის 9 საათიან გამოშვებაში გავიდა კადრები, სადაც სასულიერო პირი, მომიტინგეებს დახოცვით ემუქრება და იგინება:

> **აქციის მონაწილე სასულიერო პირი:** *"დაგხოცავთ, თქვენი დე..."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2041492

I არხი, 17 მაისი

> **აქციის მონაწილე სასულიერო პირი:** *„ნუ შეგეშინდებათ, დავალეწოთ თავყბა. გადავტეხოთ სატანები წელში. მომავალში ეშინოდეთ გაფაჩუნება."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2050099

ნეტგაზეთი, 17 მაისი

ნეტგაზეთმა გაავრცელა კადრები, თუ როგორ შლიან სასულიერო პირები პოლიციის მოწყობილ ჯებირს და მუქარით ლგბტ-ის უფლებადამცველთა აქციის მონაწილეებისკენ გარბიან.
https://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=eZ9KslP9aGo#

ნეტგაზეთმა ის ჩანაწერიც გაავრცელა, სადაც შს მინისტრის მოადგილესთან მოლაპარაკებების დროს სასულიერო პირები, აქციის გამართვის შემთხვევაში, სისხლისღვრით იმუქრებიან და აცხადებენ, რომ მათ ერთ დაძახილზე მთელი ჯარი გვერდში დაუდგება:

> **სასულიერო პირი:** *"აქ არ გამართონ აქცია, თორემ დაიღვრება სისხლი და თუ ვინმეს დააპატიმრებთ, იმა-*

გაგრძელება გვ. 5

მედიაში 17 მაისის მოვლენების გაშუქების მონიტორინგი

დასაწყისი გვ. 1,2,3

ნინო სამხარაძე: *"ბატონო ელიზბარ, ეროვნულ და რელიგიურ თემებთან შეუთავსებლობაში მოვიდა ახალი ხელისუფლება. 17 მაისს იმართება გეიაღლუმი და პრემიერი წინააღმდეგი ვერ წავიდა. თუმცა ფეხზე დგას საპატრიარქო, პარალელურ რეჟიმში გაიმართება სასულიერო პირთა აქციაც, რომლებიც გააპროტესტებენ გეიაღლუმს. ჩემი ინფორმაციით, ამ დღეს ყაზარმულ რეჟიმში იმუშავებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. როგორ ფიქრობთ, ამ დღეს სამოქალაქო დაპირისპირება მოხდება?"*

იმედი, ქრონიკა, 17 მაისი

მართალია, საინფორმაციოს წამყვანები ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის ორგანიზატორებს ლგბტ-ის უფლებადამცველებად სწორად ასახელებენ, მაგრამ ჩართვაში ჟურნალისტი ვასილ დაბრუნდაშვილი და სიუჟეტის ავტორი ლევან ფოჩხუა აქციის ორგანიზატორებს "ლგბტ-ს" და "სექსუალური უმცირესობის" წარმომადგენლებად მოიხსენიებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ გადაცემის წამყვანი ნუცა კოპალიანი არასწორად იყენებს ტერმინს "სანქცირებულ ადგილს" აქციასთან მიმართებაში, რადგან საქართველოს კანონმდებლობა შეკრების სანქცირებას არ ითვალისწინებს, რის შესახებაც განმარტება თბილისის მერიამ და პრემიერის თანაშემწემ 16 მაისს მას შემდეგ გააკეთეს, რაც საპატრიარქომ შეკრების ნებართვის გაუქმება მოითხოვა.
http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=imedi&seekTime=17-05-2013%2020:01

ქრონიკის 17 მაისის მეორე სიუჟეტი ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის ადრინდელ აქციებთან დაკავშირებით ფაქტობრივ უზუსტობებს შეიცავს. სიუჟეტში საუბარია 2010 წელს ბათუმში ჩაშლილ გეი აღლუმზე და მართლმადიებელთა საპროტესტო აქციაზე. თუმცა, არ არის აღნიშნული, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო თავად ინფორმაცია მსგავსი ღონისძიების ჩატარების შესახებ, როგორც ეს 2010 წელს ინტერნეტპორტალმა "ნეტგაზეთმა" გააკეთა:

ნეტგაზეთი: *"ბოლო ორი კვირაა ქართულ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია ბათუმში 26 აგვისტოს გეი აღლუმის ჩატარების შესახებ, თუმცა ინფორმაციის წყარო არც ერთ მედიასაშუალებას არ დაუსახელებია. ინფორმაციის წყარო არ მოუყვანია არც საპატრიარქოს, რომელმაც ამის თაობაზე საპროტესტო განცხადება გაავრცელა."* (26 აგვისტო, 2010)
http://netgazeti.ge/GE/22/News/2292/

სიუჟეტი ასევე შეიცავს არასწორ ფაქტებს 2012 წელს ჩატარებული ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის შესახებ. აღნიშნულია, თითქოს გასულ წელს პოლიციამ მხოლოდ ლგბტ-ის უფლებადამცველი ღონისძიების ორგანიზატორები დააკავეს. "ნეტგაზეთის" ცნობით კი, 2012 წელს პოლიციამ "5 პირი დააკავა - მათ შორის, სამი ჰომოფობიასთან ბრძოლის დღესთან დაკავშირებით გამართული აქციის მონაწილე, 2 კი - სასულიერო პირი" (19 მაისი, 2012).
http://www.netgazeti.ge/GE/105/law/9584/

ამასთანავე სიუჟეტი არ შეიცავს ინფორმაციას ინციდენტის მეორე დღეს, 2012 წლის 18 მაისს "იდენტობისა" და ლგბტ-ის უფლებადამცველების მიერ პარლამენტის წინ ჩატარებული აქციის შესახებ, რომელმაც ფიზიკური კონფრონტაციის გარეშე ჩაიარა. იხ. News.ge-ს მასალა:
http://news.ge/ge/news/story/14802-homofobiis-tsinaaghmdeg-gamartuli-aqtsia-mshvidobianad-dasrulda

გარდა იმისა, რომ იმედის აღნიშნული სიუჟეტი ფაქტობრივ უზუსტობებს შეიცავს, იგი მკვეთრად დაუბალანსებელია და მასში სექსუალურ უმცირესობათა მიმართ ძალადობა კანონზომიერებად არის წარმოჩენილი. სიუჟეტის ფინალურ ნაწილში ჟურნალისტი აცხადებს, რომ სასულიერო პირები, მართლმადიდებელი მრევლი და არასამთავრობო ორგანიზაციები ყოველ წელს ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს ერთიანდებიან. ამასთანავე სრულიად გაუმართლებელია ჰომოფობიის განმარტებისთვის სიუჟეტის ფინალურ ნაწილში იმ სასულიერო პირის ციტირება,

დიმა ჯაიანი: *"მე ხომ ვიცი, რომ 98% პოლიციის, აი, იმ ადამიანების, ვინც ეს აღლუმი მოაწყო, მათი წინააღმდეგი იყო შინაგანად, თავიანთ თავს აჯობეს და მაინც იცავდნენ ამათ. იმ ავტობუსში, როგორ სვამდნენ, მე ხომ ვიცი, ეზიზღებოდათ ისი-ნი."*

მედიაში 17 მაისის მოვლენების გაშუქების მონიტორინგი

ვინც სიძულვილის ენით გამოირჩევა და ჰომოსექსუალებს ავადმყოფებად მიიჩნევს.

დეკანოზი თეოდორე გიგნაძე: *„ეს არის დემონიზმი და სატანიზმი ზუსტად და უსიყვარულობა ადამიანისა. ჰომოფობია სწორედ ეს არის. დალოცვილო, კაცი ავად არის და იმის მაგივრად, რომ ეცადო, დაეხმარო, გადმოიყვანო და ნორმალური ცხოვრების... შენ რომ გყავს ცოლშვილი და შენ რომ გათხოვდი, ხომ გიხარია, იმას არ უნდა? იმასაც უნდა და რისკენ უბიძგებ?"*
http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=imedi&seekTime=17-05-2013%2020:30

მე-9 არხი, ახალი 9, 17 მაისი

ტელეკომპანია მე-9 არხის 9 საათიან გამოშვებაში გადაცემის წამყვანები თამთა სანიკიძე და ლევან ჯავახიშვილი ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის მონაწილეებს კვლავ სექსუალურ უმცირესობებად მოიხსენიებენ, ისევე როგორც სიუჟეტის ავტორი თამარ გოგესაშვილი. სიუჟეტში ასევე არის ერთ-ერთი ჟურნალისტის სინქრონი, როდესაც ის შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს შეკითხვით მიმართავს და სადაც აქციის მონაწილეები "გეებად" არიან მოხსენიებული:

უცნობი ჟურნალისტი: *"თუ არ მისცეს საშუალება, ნინო, ამით გეების უფლებები ხომ დაირღვევა?"*
http://tv9.ge/?l=G&m=3&sm=17&id=2175

იმედი, 17 მაისი

"ღია ეთერის" სტუდიაში მსახიობ დიმა ჯაიანის მხრიდან სექსუალურ უმცირესობათა მიმართ სიძულვილის გაღვივებას ჰქონდა ადგილი, რასაც გადაცემის წამყვანის ვახო სანაის არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

დიმა ჯაიანი: *"მე ხომ ვიცი, რომ 98% პოლიციის, აი, იმ ადამიანების, ვინც ეს აღლუმი მოაწყო, მათი წინააღმდეგი იყო შინაგანად, თავიანთ თავს აჯობეს და მაინც იცავდნენ ამათ. იმ ავტობუსში, როგორ სვამდნენ, მე ხომ ვიცი, ეზიზღებოდათ ისინი."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2044973

გაგრძელება გვ. 6

ძალადობის ქრონიკა

ზე უარესს მიიღებთ, რაც თავის დროზე სხვებმა მიიღეს. ჩვენი ერთი დასტვენაც საკმარისია, მთელი სამხედროები აქ მოვლენ".
http://www.netgazeti.ge/GE/105/News/19687/

თავდასხმები ყვითელ ავტობუსებზე

რამდენიმე საინფორმაციო საშუალებამ (რუსთავი 2, ნეტგაზეთი, ინფო 9) გაავრცელეს კადრები, სადაც ასახულია თავდასხმა იმ ავტობუსებზე, რომლითაც პოლიციას ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის მონაწილეები გადაჰყავდა. კადრებში ისმის მუქარის შემახილები - "დალეწეთ". კონტრაქციის მონაწილეები სატრანსპორტო საშუალებებს ქვებს, ბოთლებს, რკინის ჯებირებს, ხელკეტებს უშენენ.
http://www.myvideo.ge/?video_id=2041016
http://www.myvideo.ge/?video_id=2042578
https://www.youtube.com/watch?v=4kLQB0SG6jQ
https://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=_f4lMuAhORU
http://www.myvideo.ge/?video_id=2041246
https://www.youtube.com/watch?v=IGBohQuGwiY

ნეტგაზეთი, 17 მაისი

ნეტგაზეთმა გაავრცელა იმ ავტობუსზე თავდასხმის კადრები, რომელსაც ანტიჰომოფობიური აქციის მონაწილე ორი გოგონა გადაჰყავდა.
https://www.youtube.com/watch?v=bZ5QTXm-4Mo

რუსთავი 2, 17 მაისი

რუსთავი 2-მა ცარიელ ავტობუსზე და მის მძღოლზე თავდასხმის კადრები გადმოსცა.
https://www.youtube.com/watch?v=X8TJ2_iXqHc&feature=youtu.be

გაგრძელება გვ. 7

მედიაში 17 მაისის მოვლენების გაშუქების მონიტორინგი

დასაწყისი გვ. 1-5

ამავე გადაცემაში დიმა ჯაიანი არასწორად ახდენს როგორც ერთ-ერთი პოლიტიკოსის გამონათქვამის, ასევე დასავლური ინსტიტუტების განზოგადებას, რასაც უკრიტიკოდ ტოვებს წამყვანი:

> **დიმა ჯაიანი:** *"ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ბრძანა, ჩვენ გეების აღლუმი თუ ასე დავშალეთ, ნატოში არასდროს მიგვიღებენო. გეები უნდა ვიყოთ ყველა, ნატოში რომ მოვხვდეთ? არ მინდა ბატონო ნატოში მოხვედრა."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2050182

რუსთავი 2, პოზიცია, 17 მაისი

როდესაც კონტრაქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული გიორგი გაბედავა საუბრობს იმის შესახებ, რომ ლგბტ-ები ავადმყოფები არიან და მკურნალობის ნაცვლად გადადიან აგრესიაზე, თანამედროვე სამედიცინო დასკვნებზე აპელირების ნაცვლად, რაც საპირისპიროს ასაბუთებს, გადაცემის წამყვანი ნინო შუბლაძე სვამს შეკითხვას, თუ რაში გამოიხატება მათი აგრესია. მსგავსი შეკითხვა იმ ძალადობის ფონზე, რომელიც ექსკლუზიურად კონტრაქციის მონაწილეთა მხრიდან ჩანდა გავრცელებულ ვიდეო კადრებში, აქციის ორგანიზატორის მიმართ, არაადეკვატური იყო.

> **გიორგი გაბედავა:** *"იმის მაგივრად, რომ ეს ადამიანები სირცხვილით არ გამოვიდნენ და მკურნალობა ითხოვონ და ჩვენ გაუწევთ ამ დახმარებას, პირიქით გადმოდიან აგრესიაზე."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2045641

რესპონდენტმა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები აღნიშნულ გადაცემაში მეორედ მოიხსენია ავადმყოფებად, რაზეც წამყვანი მხოლოდ "მადლობით" შემოიფარგლა:

> **გიორგი გაბედავა:** *"ამ ადამიანებს სჭირდებათ მკურნალობა. ესენი არიან ავადმყოფები, ხალხო. იმიტომ რომ ახლა რომ ამოიღეს სიიდან? ესენი არიან ავადმყოფები."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2045652

იმედი, 17 მაისი

მოსაზრებამ ლგბტ-ის ავადმყოფობის შესახებ ვახო სანაიას "ღია ეთერშიც" გაიჟღერა, თუმცა, ამგვარ შეფასებებს არც აღნიშნულ გადაცემაში მოჰყოლია მეცნიერულ დასკვნებზე დაფუძნებული კომენტარი.

ობიექტივი, 17 მაისი

ობიექტივის ღამის სტუდიის წამყვანი კი ყოველგვარი სტანდარტების დარღვევით, თავად ახდენს აზრის დამკვიდრებას, რომ ჰომოსექსუალობა ავადმყოფობაა. წამყვანი ამასთანავე საკითხის დრამატიზებას და ემოციებზე თამაშს ახდენს.

> **ნინო რატიშვილი:** *"ზოგისთვის ეს არჩევანია, ზოგისთვის ეს ბიოლოგიური პრობლემაა და დაავადებაა. მე მესმის ეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოხდეს წახალისება. მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღევანდელი აქცია, ის მდუმარე აქცია, რომელიც პირველი სკოლის გვერდით, აკაკის და ილიას ფეხებქვეშ... არის თუ არა ეს წასახალისებელი ფაქტორი, რომ ისევ აი, ამ მანკიერებისთვის"...*
> http://obieqtivi.net/tv1.php?id=11971

ნინო რატიშვილი: *"ზოგისთვის ეს არჩევანია, ზოგისთვის ეს ბიოლოგიური პრობლემაა და დაავადებაა. მე მესმის ეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოხდეს წახალისება. "*

17 მაისის ობიექტივის ღამის სტუდიის სტუმარი გია მაისაშვილიც ჰომოსექსუალებს ავადმყოფებად მოიხსენიებს.

> **გია მაისაშვილი:** *"ვიღაცა თუ არის ავადმყოფი და თქვენ ვინც დაასახელეთ, ისინი არიან ავადმყოფები (ლგბტ წარმომადგენლებზე საუბრობს), მე არ მინდა, რომ ჩემი*

ქვეყანა და ჩემი საზოგადოება ამ ავადმყოფების ავანტიურას აჰყვეს და ქვეყანა აფეთქდეს.”
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11970

ობიექტივი, 16 მაისი

“ობიექტივის” ღამის სტუდიის წამყვანი სოსო ზაალიშვილი არ რეაგირებს იმ ზარზე, რომელიც სიძულვილით გამოირჩევა. მსმენელი იმ არასამთავრობო ორგანიზაციების იდენტიფიცირებას ითხოვდა, ვინც ხალხის მტერია და გენოფონდის განადგურებას ფულის სანაცვლოდ ცდილობს.

მსმენელის ზარი: “*რომელი არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც მხარს უჭერს ამას და ვინც ხვალ აპირებს გამოსვლას. და ამ ადამიანების გვარები, სახელები ყველამ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ იღებს ფულს იმისათვის, რომ ჩვენი გენოფონდი გაანადგუროს?”*

საპასუხოდ გადაცემის წამყვანმა მხოლოდ ორაზროვნად შენიშნა, რომ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არცერთ მათგანს არ იცნობდა და მხოლოდ იდენტობის იდენტიფიცირება მოახდინა, სხვა ორგანიზაციების შესახებ კი აგრესიულად განწყობილ მსმენელს ინფორმაციის მიწოდებას დაჰპირდა.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11958

I არხი, 17 მაისი

მოამბის 8 საათიან გამოშვებაში მნიშვნელოვნად არის დარღვეული ბალანსი კონტრაქციის მონაწილეთა და ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღის აღნიშვნის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ. მხოლოდ 1 სიუჟეტი 12 კონტრაქციის მონაწილის სინქრონს შეიცავს. ბუნებრივია, დღის მთავარ გამოშვებაში, რომელიც პირდაპირ ეთერში არ გადაიცემოდა, რესპონდენტთა დაბალასება უფლებადამცველთა კომენტარებით შეიძლებოდა.
http://1tv.ge/video/18156

რუსთავი 2, პოზიცია, 17 მაისი

პოზიციის სტუმარი გიორგი გაბედავა დამამცირებელი სახელით მოიხსენიებს პატრიოტთა მოძრაობის ლიდერს.

გიორგი გაბედავა: “*გიორგი ანჯელა მაზმანიანი, რომელიც ციხეში იჯდა და ე.წ. ბრიგადირი იყო ამ მამათმავლების... ჩამოყალიბა ორგანიზაცია პატრიოტი, რომლის პრეზიდენტია, ეს არის სამარცხვინო ფაქტი. ეს ლჯბტ-ის საზოგადოება გვერდში ედგა.”*

მართალია, ნინო შუბლაძე რესპონდენტს კორექტულობისკენ მოუწოდებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ გასაგებია, რაზეც საუბრობს, “თუმცა, ეს სხვა თემაა”. გაურკვეველია, რატომ არის გასაგები გადაცემის წამყვანისთვის პიროვნების შეურაცხმყოფელად მოხსენიება ან რატომ არის სხვა თემა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით პიროვნების დისკრიმინაცია.
http://www.myvideo.ge/?video_id=2045650

მაესტრო, პოლიტმეტრი, 17 მაისი

ფრაქცია “ქართული ოცნების” ხელმძღვანელი ზაქარია ქუცნაშვილი ლგბტ უფლებადამცველების მხრიდან განხორციელებულ პროვოკაციულ ფორმაზე საუბრობს და მიზანშეწონილად მიიჩნევს, მათ მსგავსი შეკრება დახურულ სივრცეში განეხორციელებინათ.

ზაქარია ქუცნაშვილი: “*მათ შეეძლოთ დახურულ შენობაში მოეწყოთ ეს აქცია და იქ გამოეხატათ თავისი აზრი, გამოსვლებ-*

გაგრძელება გვ. 8

ძალადობის ქრონიკა

რადიო “თავისუფლება”, 19 მაისი

რადიო “თავისუფლებამ” გამოაქვეყნა ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის ერთ-ერთი მონაწილის მიერ მიწოდებული ვიდეოკადრები, რომელიც მიკროავტობუსიდან მაშინ არის გადაღებული, როდესაც აგრესიული ბრბო ავტობუსში მყოფებზე ძალადობას ახორციელებდა.
http://www.radiotavisupleba.ge/media/video/24990332.html
http://www.radiotavisupleba.ge/media/video/24990333.html

ინფო 9

ინფო 9-მ გაავრცელა კადრები, სადაც სასულიერო პირს სთხოვენ, არ დაარტყას მათივე საპროტესტო აქციის მონაწილეს, რომელიც ამ უკანასკნელმა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელად მიიჩნია .
http://www.myvideo.ge/?video_id=2040814

სასულიერო პირი ტაბურეტით

მედიასა და სოციალურ ქსელებში განხილვის საგანი იყო იმ სასულიერო პირის ქმედება, რომელიც აქციაზე ტაბურეტით გადაადგილდებოდა. რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, როგორ გადაადგილდება სასულიერო პირი ტაბურეტით, ასევე როგორ იქნევს იგი სკამს ყვითელი ავტობუსის მიმართულებით, რა დროსაც მას გვერდით მდგომი აქციის მონაწილე სკამს ართმევს და მეორე ჯერზე ის ავტობუსს მუშტს არტყამს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მაესტროს გადაცემა “პრეს-პრესში” (18 მაისი) სასული-

გაგრძელება გვ. 9

აქციის დარბევის შეფასებები

დავით საგანელიძე: *"არც მინდა მაგათი სახელის ხსენება (MDF: ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის მონაწილეებზე), იმიტომ, რომ ქვეყნისთვის მაგათ სასიკეთო არაფერი არ მოაქვთ, არც ქვეყნისთვის, არც ოჯახისთვის, არც მომავლისთვის, არც ტრადიციისთვის და საერთოდ, არც არაფრისთვის დედამიწაზე. სიკეთისთვის ეგ ხალხი რომ არ არის მომართული, აშკარაა, მაგრამ ფული რომ იშოვონ, ეგ გასაგებია. ამიტომ ესენი დღეს კიდევ შეეცდებიან დაძაბონ სიტუაცია."*

მედიაში 17 მაისის მოვლენების გაშუქების მონიტორინგი

დასაწყისი გვ. 1-7

ის, დროშების ფრიალის თუ პლაკატების ხელში ჭერის სახით. მათ აირჩიეს პროვოკაციული ფორმა, რაც ბუნებრივია, გამოიწვევდა ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანებას, იმიტომ რომ ქართველობა ისტორიულად ტრადიციულად ჩამოყალიბდა, როგორც ეთნოსი, რომლის იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელი არის მისი რელიგიურობა, მართლმადიდებლური რელიგიურობა და ქვეცნობიერად მოქალაქეებმა, ჩემი აზრით, ეს გაიგეს, როგორც საფუძველი ქართველობის დაკარგვის ქართველობის შებღალვის ნიშნად."
http://www.youtube.com/watch?v=k-4VVbOkrls&list=HL1369472894

ზაქარია ქუცნაშვილი: *"ქართველობას იდენტობა არ აქვთ გეებთან და ლეზბოსელებთან, ქართველობას იდენტობა აქვთ მართლმადიდებლობასთან, ტრადიციასთან."*

საპასუხოდ გადაცემის წამყვანი ნინო ჟიჟილაშვილი უმცირესობათა დაცვის ვალდებულებაზე და ამ თვალსაზრისით მმართველ გუნდში არსებულ განსხვავებულ მიდგომებზე ამახვილებს ყურადღებას. ამასთანავე, ჟურნალისტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კონსტიტუცია ნებისმიერ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, თავად აირჩიოს შეკრების ადგილი, რაზეც რესპონდენტი კვლავ ქართული იდენტობისა და სექსუალური უმცირესობის შეუთავსებლობაზე აკეთებს აქცენტს.

ზაქარია ქუცნაშვილი: *"თავისთავად ღია ტიპის ღონისძიება ბუნებრივად წარმოშობდა რეაქციას ჩვენს საზოგადოებაში, იმიტომ, რომ ქართველობას იდენტობა არ აქვთ გეებთან და ლეზბოსელებთან, ქართველობას იდენტობა აქვთ მართლმადიდებლობასთან, ტრადიციასთან."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2044486

I არხი, აქცენტები, 17 მაისი

ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღის აღნიშვნის მოწინააღმდეგეები ავითარებდნენ აზრს, რომ უმცირესობამ უმრავლესობის ნეგატიური დამოკიდებულება და მიუღებლობა საკითხისადმი უნდა გაითვალისწინოს. ამ მოსაზრებამ არაერთ გადაცემაში გაიჟღერა. აქცენტების წამყვანმა ეკა კვესიტაძემ ჯონდი ბაღათურიას მსგავსს რეპლიკაზე აქცენტი უფლებრივ თანასწორობაზე მართებულად გააკეთა.

ჯონდი ბაღათურია: *"მინდა მივმართო ბიძინა ივანიშვილს... დაფიქრდეს, სად აღმოჩნდა ის დღეს. ჯერ კიდევ გუშინ ის იყო თავისი პოპულარობის და ნდობის მიხედვით მწვერვალზე, საზოგადოების მხრიდან და დღეს ის აღმოჩნდა საკუთარი ხალხის, საკუთარი მომხრეების წინააღმდეგ, ერთი მუჭა ლგბტ საზოგადოებასთან ერთად."*

ეკა კვესიტაძე: *"ამ ერთ მუჭა ადამიანებს ზუსტად ისეთივე კონსტიტუციური უფლება აქვთ, როგორც თქვენ, ჯონდი ბაღათურიას.*
http://www.myvideo.ge/?video_id=2044454

აქციის დარბევის შეფასებები

ძალადობის გამართლება

კურიერი, 17 მაისი

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის შეფასებები 17 მაისის აქციის დარბევაზე არა მხოლოდ ჰომოფობიურ და დისკრიმინაციულ გამოხატვებს შეიცავს, არამედ ახალისებს ძალადობას.

> **დავით საგანელიძე, ქართული ოცნება:** *"ტრადიციებზე აღზრდილი ადამიანი ვარ და... არავის ცხოვრებაში არ ვერევი და ერთი რამ ვიცი, რომ ყველას აქვს უფლება თავისი აზრი გამოთქვას... მაგრამ, მეორეს მხრივ, ის ძალადობა, რაც ხშირად მოდის მასეთი ორგანიზაციების მხრიდან, გინდა თუ არა ჩვენი ცხოვრების წესი უნდა მოგახვიოთ თქვენც თავზე, ესეც თავისთავად ძალადობაა და ესეც მიუღებელია.*
>
> *...არ ვიცი რამდენი იყვნენ 10-20-50? მნიშვნელობა არ აქვს, არ დარჩებოდა, ალბათ, მათი ერთი ძვალი მთელი, დღეს რომ პოლიციას არ ეცაჟვაცა და მათ სანამ შესძლეს, რომ ეს ათასობით თუ ათი ათასობით ადამიანი შეეჩერებინათ, თავის აქციას თუ რასაც ატარებდნენ. როცა დაირღვა ეს კორდონი, მათ მოახერხეს, რომ ჩასვევს ეს ადამიანები ავტობუსებში და საღ-სალამათები და ჯანმრთელები გაიყვანეს იმ ტერიტორიიდან. ის, რომ პოლიცია დაშავდა და თავის თავზე მიიღო დარტყმა და ის, რომ ეს ადამიანები არიან საღ-სალამათები, ვისი გულისთვისაც ეს ამბავი ატყდა და კიდე იქ რაღაც თავიანთ პრეტენზიებს აყენებენ, ეს არის სწორედ პოლიციის დამსახურება ...*
>
> *ის, რომ საზოგადოებამ ვერ მიიღო ამ პატარა ჯგუფის იდეოლოგია და საზოგადოება ამას აღშფოთებით შეხვდა, გასაგებია. პოლიციამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ 10-20-30 კაცი, ავტობუსში რომ ისხდნენ იქ ბედნიერი სახეებით, იქიდან გაეყვანათ და თვითონ დაზიანდა. რა უნდა გაკეთებინა პოლიციას? - ის ხალხი, ვინც აღშფოთებული იყო ამათი თავხედობით, რეზინის ტყვიები დაეშინა თუ გაზი? პოლიციამ თავის თავზე მიიღო დარტყმა და ხალხი დაიცვა.*
>
> *არც მინდა მაგათი სახელის ხსენება, იმიტომ, რომ ქვეყნისთვის მაგათ სასიკეთო არაფერი არ მოაქვთ, არც ქვეყნისთვის, არც ოჯახისთვის, არც მომავლისთვის, არც ტრადიციისთვის და საერთოდ, არც არაფრისთვის დედამიწაზე. სიკეთისთვის ეგ ხალხი რომ არ არის მომართული, აშკარაა, მაგრამ ფული რომ იშოვონ, ეგ გასაგებია. ამიტომ ესენი დღეს კიდევ შეეცდებიან დაძაბონ სიტუაცია."*

ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას შეკითხვაზე, უნდა დაისაჯონ თუ არა კონტრაქციის ორგანიზატორები, უმრავლესობის ლიდერი პასუხობს, რომ დასასჯელი ძალადობის მაპროვოცირებლები არიან.

> **დავით საგანელიძე:** *"უნდა დაისაჯოს ის, ვინც ამის პროვოცირება მოახდინა."*
> http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2&seekTime=17-05-2013%2015:46

ძალადობის ქრონიკა

ერო პირის ქმედებას გამოძიების შედეგების დასრულებამდე ამართლებს.

> **მანანა კობახიძე:** *"ეს პატარა სკამი... ეჭირა არა მამაოს, არამედ ერთ-ერთ წევრს საპირისპირო აქციის... მამაომ უბრალოდ გამოართვა, რათა რამე არ მომხდარიყო და აპირებდა სადღაც, ალბათ, გადატანას."*

http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=wvWQO27-fSc#

ძალადობა ჟურნალისტებზე, პოლიციელებზე და სხვა მოქალაქეებზე

რუსთავი 2, 17 მაისი

კურიერმა გადმოსცა კადრები, რომელშიც ასახულია ყვითელ მიკროავტობუსზე ძალადობა, ასევე გადმოცემულია, თუ რა დაზიანებები მიიღეს რადიო "ფორტუნას" ჟურნალისტმა ხატია კალანდაძემ, პოლიციელებმა და აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

http://www.myvideo.ge/?video_id=2041497

Facebook

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო-კადრები, სადაც ასახულია, თუ როგორ დევნის სასულიერო პირი, თანმხლებ აგრესიულ ჯგუფთან ერთად, ჟურნალისტებს. სასულიერო პირი ინტერესდება, არის თუ არა ერთ-ერთი ჟურნალისტი მართლმადიდებელი. ჟურნალისტები სამართალდამცავებს მიმართავენ, დააკავონ მოძალადეები.

https://www.facebook.com/photo.php?v=474853219256562

გაგრძელება გვ. 11

აქციის დარბევის შეფასებები

მაესტრო, პრეს-პრესი, 18 მაისი

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე 17 მაისის აქციის დარბევის ანალოგიას ევროპულ ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკით ხსნის და ლგბტ-ის უფლებადამცველთა აქციას გეი აღლუმის კონტექსტში განიხილავს:

> **მანანა კობახიძე, ქართული ოცნება:** *"ეს ევროპულ ქვეყნებშიც ხდება მსგავსი რამ. ყველა ქვეყანაში არ მოსწონთ მსგავსი აღლუმები."*

"პრეს-პრესის" წამყვანის დიანა ტრაპაიძის შეკითხვაზე - ასოცირდებოდნენ თუ არა ეკლესია და სასულიერო პირები ძალადობის წყაროსთან, მანანა კობახიძემ მამაოების მხრიდან ძალადობის წახალისება უარყო:

> *"მე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ამ ძალადობის წახალისებას ახდენდნენ მამაოები...*
>
> *ხომ გახსოვთ იქ ყველაფერი იყო ევროპაში, ჯვაროსნები, ინკვიზიცია... ჩვენთან კი ეკლესია ყოველთვის გამაერთიანებელი იყო. ეკლესია კიდევ იტყვის თავის სიტყვას."*

ამასთანავე მანანა კობახიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დარღვევას ადგილი არ აქვს და სიტუაციის ზედმეტად გამძაფრება ხდება:

> *"თუ ამ ადამიანების უფლება ირღვევა, ნახეთ ანგარიშები, გნებავთ სახალხო დამცველის, გნებავთ სხვა. სად არის ეს დარღვეული უფლებები, მითხარით. მოვიდნენ ასეთი ორიენტაციის ადამიანები და თქვან, სად არის მათი უფლებები დარღვეული?.. გამაგებინეთ, სად არის, რაღაცეების ზედმეტად გამძაფრებას ხომ არ აქვს ადგილი?"*
> http://www.youtube.com/watch?v=c_HuHP4bsGg&feature=player_embedded

სიძულვილის ენა, ძალადობის წახალისება

ალია, 17-20 მაისი

> **მამა ელიზბარი(დიაკონიძე), სამების ტაძრის დიაკვანი:** *"ჩვენ წინა ხელისუფლების პერიოდში არაერთხელ ვნახეთ, რომ უწმინდესმა მოუწოდა, თუნდაც ავადსახსენებელი რელიგიის კანონის მიღებაზე უარი ეთქვათ, რომელიც არ გაითვალისწინეს. რას ნიშნავს ის, რომ პატრიარქის მოწოდების მიუხედავად, არ გადაიდება სულ და გვამ გარყვნილთა აღლუმი და საჯარო გამოსვლა? რატომ ცდილობს ახალი თუ ძველი მთავრობა, ჩვენს ბავშვებს სული შეურყვნას? საკუთარ სახლში იგუებენ მსგავსი ორიენტაციის ადამიანებს? რატომ არ ჰყავთ მათ, კაცს კაცი ქმრად და ქალს ქალი ცოლად, თუ ასეთი მისაღებია მათთვის? როგორ შეიძლება მართლმადიდებლურ სამყაროში ასეთი რამის პროპაგანდა იყოს გაწეული?"*

ჟურნალისტ შორენა გოგოლაძის შეკითხვაზე - ხელისუფლება სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს საზოგადოების სრულფასოვან მოქალაქეებად მიიჩნევს - დიაკვანი კვლავ სიძულვილის ენით და დამამცირებელი, ღირსებისშემლახავი სიტყვებით პასუხობს:

> *"სახლში წაიყვანოს და პინგვინების ყოლას (MDF: იგულისხმება პრემიერ-მინისტრი) სამი პიდარასტი სჯობია ეზოში დაბმული. ვისაც ეს ხალხი თავის მოქალაქედ მიაჩნია, კი ბატონო, არიან ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ შეიკრიბონ სადმე სხვაგან, აგერ პრეზიდენტს სასახლე აქვს გადასარევი და ჰყავდეს თავისთან. კი უყვარს ეგეთ ადამიანებთან ჩახუტება, ,,ანჟელა" ხომ ჰყავდა ჩახუტებული?"*

კავკასია, დღეს, 17 მაისი

> **მეუფე იაკობი:** *"მაგრამ არც ის არის სამართლიანი, როდესაც რამოდენიმე ნაძირალა ცდილობს იმის გამო, რომ გრანტები მიიღოს, სიტუაციის არევას... ხალხის აგრესია სამართლიანი აგრესიაა, მაგრამ აგრესია ცუდია... შეხედეთ ამ ზღვა ხალხს, არ მიხედავს ამას ხელისუფლება, მივხედავთ ჩვენ, ხალხი."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2041486

ბიულეტენი №3

მანანა კობახიძე: *"მე როგორც ვიცი, აქცია არ დაიწყო რა დროსაც უნდა დაწყებულიყო. მოხდა დროში გაჭიანურება. მეორე მხარეს კი ადამიანების რაოდენობა თანდათან კრიტიკულ ზღვრამდე მიდიოდა. ხომ არ ელოდნენ ზუსტადაც, აი, ამ კრიტიკულ ზღვარს ეს ადამიანები? ესეც გამოსაძიებელია. პასუხისმგებლობა თქვენ გგონიათ იდენტობის წევრებს საერთოდ მოხსნილი აქვთ?.. "*

აქციის დარბევის შეფასებები

ობიექტივი, 17 მაისი

თამაზ დაუშვილი, ყოფილი პარლამენტარი: *"ყველაზე მეტად ის მოცებდა, რომ მე ტელევიზორით ვუყურებდი, მქონდა ბედნიერება ამისი, ვხედავდი, რომ ავტობუსები, სადაც ჩაამტვრიეს მინები"...*

http://obieqtivi.net/tv1.php?id=11971

მაესტრო, 17 მაისი

დიმიტრი ლორთქიფანიძე, თავისუფალი საქართველო: *"არ შეიძლება, შეწყნარებულ იქნეს უზნეობის ინსტალაციის მცდელობა, მით უმეტეს, როდესაც მას ჰყავს კონკრეტული დამკვეთი, კონკრეტული დამფინანსებლები".*

http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=maestro&seekTime=17-05-2013%2015:13

ძალადობის მსხვერპლთა და გარე ძალების დადანაშაულება ძალადობის პროვოცირებაში

მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა გააკეთეს პირდაპირი და ირიბი განცხადებები იმის შესახებ, რომ ძალადობის პროვოცირებას თავად ლგბტ-ის უფლებადამცველების და გარკვეული ძალების მხრიდან ჰქნდა ადგილი:

რუსთავი 2, 17 მაისი

დავით საგანელიძე: *"პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ესაა ინსპირირებული გარკვეული ძალების მიერ. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. ეს ორგანიზაცია, ელჭიპიტ-ია თუ არ ვიცი, რაც ქვია, რაღაც კიდე მათი ასოციაცია, მათ თავიანთი ცხოვრების წესი აქვთ და შესაბამისად, არავინ არ ზღუდავს მათ ამ ქვეყანაში. ახლა, თუ რეკლამა უნდათ თავიანთი თავის გაიკეთონ და კიდევ უფრო მეტი აფიშირება მოახდინონ, რასაც მიაღწიეს, მინდა ვთქვა რა, იმიტომ რომ მათი ამოცანა სწორედ ეს იყო, რომ ყურადღება მიეპყროთ და სამწუხაროდ ეს მათ შესანიშნავად მოახერხეს, ეს მათი საქმეა…*

ეს რომ მართულია, ამის უკან რომ რაღაც ძალები დგას, გარკვეული ფინანსები, ეს არის შესასწავლი, თუ საიდან ფინანსდება ასეთი ორგანიზაციები, ვისგან ფინანსდება და რა ინტერესებია…

ესაა ინსპირირებული გარკვეული ძალების მიერ. ეს ორგანიზაცია, "ლჯბპ" თუ რაღაც კიდევ ასოციაცია... არც მინდა მაგათი სახელის ხსენება, ჭრელ დროშებს რომ აფრიალებდნენ, ფულის გულისთვის სხეულს გაყიდიან"...

http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2&seekTime=17-05-2013%2015:46

მაესტრო, 18 მაისი

პრეს-პრესის წამყვანის შეკითხვაზე, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა განვითარებულ მოვლენებზე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე "იდენტობის" პასუხისმგებლობაზეც საუბრობს:

მანანა კობახიძე: *"მე როგორც ვიცი, აქცია (ლგბტ) არ დაიწყო რა დროსაც უნდა დაწყებულიყო. მოხდა დროში გაჭიანურება. მეორე მხარეს კი ადამიანების რაოდენობა თანდათან კრიტიკულ ზღვარამდე მიდიოდა. ხომ არ ელოდნენ ზუსტადაც, აი, ამ კრიტიკულ ზღვარს ეს ადამიანები? ესეც გამოსაძიებელია. პასუხისმგებლობა თქვენ გგონიათ იდენტობის წევრებს საერთოდ მოხსნილი აქვთ?.. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ თუნდაც ეს იყო გლოვის დღე, წინა დღე. ეს ყველაფერი იდენტობასაც უნდა გაეთვალსიწინებინა როდესაც ასეთი მუხტი არის მეორე მხარეს."*

გაგრძელება გვ. 12

ძალადობის ქრონიკა

იმედი, 17 მაისი

ქრონიკის 8 სთ-იან გამოშვებაში გადმოცემულია "ნიუ-იორკ თაიმსის" ფოტოკორესპონდენტის ინტერვიუ, რომელიც კონტრაქციის მონაწილეთა სამიზნე გახდა. ფოტოკორესპონდენტის განცხადებით, ის შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, რადგან პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, მასზე მომიტინგეებმა იერიში მიიტანეს, რადგან იგი სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლად მიიჩნიეს.

http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=imedi&seekTime=17-05-2013%2020:01

მე-9 არხი, 17 მაისი

მე-9 არხის 9 საათიან გამოშვებაში პოლიციელზე სასულიერო პირის თავდასხმის კადრები გავიდა.

http://www.myvideo.ge/?video_id=2041476

კავკასია, 17 მაისი

საინფორმაციო პროგრამა "დღემ" გადმოსცა როგორც ქვების სროლით დაზარალებულ პოლიციელთა კადრები, ასევე სადამკვირვებლო ორგანიზაცია IDFI-ის დამკვირვებლების ინტერვიუ, სადაც ისინი აცხადებენ, რომ კონტრაქციის მონაწილეები მათ აფურთხებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და კამერის დამტვრევის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი.

http://www.myvideo.ge/?video_id=2041487

მუქარა საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველოს მიმართ

კონტრაქციის მონაწილეების რუსთაველის გამზირზე ჩავლისას, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულმა გიორგი გაბედავამ იქვე მდებარე არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველოს"

გაგრძელება გვ. 13

აქციის დარბევის შეფასებები

მე-9 არხი, 17 მაისი

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ თავის შეფასებებში ყურადღება აბსოლუტური თავისუფლების არარსებობაზე გაამახვილა და მინიშნება მაპროვოცირებელი გარემოს შექმნაზე იმათ მიმართ გააკეთა, ვისაც ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე აქვს პრეტენზია.



ეკა ბესელია, ქართული ოცნება: *"კონსტიტუცია გვავალდებულებს, რომ პატივი ვცეთ ყველას უფლებას, მაგრამ ადამინის უფლება და გამოხატვის თავისუფლება, ასევე მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორის უფლება. აბსოლუტური თავისუფლება არავის აქვს. ეს მიჯნა უნდა იყოს დაცული. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გუშინ გლოვის დღე იყო ქვეყანაში. სპატრიარქომ გააკეთა განცხადება, მისი უწმინდესობის განცხადება იყო. ბუნებრივია, არსებობს ძალიან მაღალი რისკი დაძაბულობის. ყველაფერს ანგარიში უნდა გაუწიო. თუ ამოცანა არის ის, რომ ძალადობის წინააღმდეგ იბრძვი. თუ ამოცანა არის ის, რომ შექმნა მაპროვოციერებელი გარემო, სადაც ის არის თვითმიზანი, რომ შედეგად მივიღოთ დაზარალებული ადამიანები, გასისხლიანებული პოლიციელი და ა.შ."*

ჟურნალისტი თამთა სანიკიძე ინტერესდება, თუ ვის გულისხმობს რესპონდენტი პროვოკატორებში, რაზეც ეკა ბესელია პასუხობს, რომ გარკვეული მაპროვოცირებელი გარემო შეიმჩნეოდა და ვიდრე საკითხი შესწავლის ეტაპზეა, ის შესაბამის პირთა დასახელებისგან თავს შეიკავებდა.
http://www.youtube.com/watch?v=d9y-d6gTv_I

ტაბულა, 17 მაისი

ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული მოძრაობა: *"დარწმუნებული ვარ, დღესაც ამ აქციის უკან დგანან არა უმცირესობის წარმომადგენლები, არამედ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში უცხო ფასეულობების დანერგვას ცდილობდნენ. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, გიგა ბოკერია, მიხეილ სააკაშვილი. მე ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მეუბნებოდა გიგა ბოკერია - ქალბატონო ნინო, თქვენ მოგიწევთ შეგუება, რომ საქართველოში გეი აღლუმი ჩატარდება. ეს არის პროვოცირებული თემა, ამაზე ხელს მოითბობს ნაციონალური მოძრაობა".*

იმედი, 17 მაისი

გიორგი ცაგარეიშვილი, ქართული ოცნება: *"ჯოლმეურნეობის მოედნიდან მასობრივი თავშეყრის ადგილისკენ დაიძრნენ, მათ შორის აქციის ორგანიზატორები, რომლებმაც განახორციელეს პროვოკაციული ქმედებები, უკვე უმცირესობების მხრიდან იყო ეს პროვოკაციული ქმედებები განხორციელებული და ეს უნდა ვაღიაროთ. სხვათა შორის, ამას მოჰყვა რეაგირება იქ შეკრებილი საზოგადოების მხრიდან".*
http://www.myvideo.ge/?video_id=2045633

იმედი, 17 მაისი

შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია: *"გუშინდელი აქცია ნაცმოძრაობასთან ერთად პროვოცირებული და ორგანიზებული იყო პრემიერ ივანიშვილს, პრეზიდენტობის კანდიდატ მარგველაშვილის და პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილის მიერ... უფრო მეტიც, პრემიერის განცხადებით, თურმე ჩვენ უნდა გავემზადოთ ერთსქესიანთა ქორწინებისთვის."*

კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო: *"ძალადობაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკუთვნის ლგბტ აქტივისტებს, რომლებმაც მოინდომეს, რომ თავიანთი აქცია ჩაეტარებინათ მაინცდამაინც სამი მეტრის დისტანციაში იქ, სადაც 20 ათასი მორწმუნე იყო შეკრებილი. მთავრობას გეტყვით, რა პასუხისმგებლობა ეკისრება, კონკრეტულად, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს. რამდენადაც ვიცი, ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ ღამით, ჯერ კიდევ დილამდე ეხვეწებოდა ბიძინა ივანიშვილს, რომ მეორე კორდონი უნდა გაკეთებულიყო პუშკინის სკვერთან."*
http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=4483

ბიულეტენი №3

გიორგი გაბედავა: *„ეს მსვლელობა არის ჩვენი ზნეობის დასაცავად. ჩვენ არ დავუშვებთ საქართველოში „გეიპარადს" და მსგავს აღვირახსნილ ქმედებებს, რომელსაც ამერიკა და ევროპა აფინანსებს."*

აქციის დარბევის შეფასებები

ანტიდასავლური განწყობები

კურიერი, 17 მაისი

მეუფე იაკობი 17 მაისის მოვლენების შეფასებისას, ანტიდასავლურ განცხადებებს და პოლიტიკურ შეფასებებს აკეთებს.

მეუფე იაკობი: *"მაგათი პარპაშის დრო უნდა დამთავრდეს. ჩვენ ვერანაირი უცხოეთი ვერ გვაიძულებს, რომ მაგათ დავემონოთ და ასეთ რაღაცეებს ვუყუროთ... რას უშვრებოდნენ ხალხს - ციხეებში აუპატიურებდნენ. და ვისზე ამბობენ, რომ მოძალადეები არიან? ბიზნესებს ართმევდნენ, კანონს ყოველდღე ცვლიდნენ, ცოტა ვაჟკაცურად დახვედრა თუ უნდათ, დავხვდებით ჩვენ ვაჟკაცურად. და ჭკვიანად იყვნენ მართლაც, ერთხელაც იქნება - ერი არ აპატიებს!"* http://www.myvideo.ge/?video_id=2041501

კავკასია, დღეს, 17 მაისი

ტელეკომპანია კავკასიის ჟურნალისტის შეკითხვაზე - სად წავიდა ავტომობილი, რომელსაც ლგბტ-ის უფლებადამცველები გადაჰყავდა, კონტრაქციის ერთ-ერთი მონაწილე პასუხობს:

კონტრ-აქციის მონაწილე: *"გაიყვანენ, გაიყვანენ, ამერიკაში მიდიან ამერიკაში... საშუალებას არ ვაძლევდით, რომ თავისი საქმისთვის მიეღწიათ"...*
http://www.myvideo.ge/?video_id=2041486

I არხი, 17 მაისი

გიორგი გაბედავა: *„ეს მსვლელობა არის ჩვენი ზნეობის დასაცავად. ჩვენ არ დავუშვებთ საქართველოში „გეი პარადს" და მსგავს აღვირახსნილ ქმედებებს, რომელსაც ამერიკა აფინანსებს და ევროპა აფინანსებს."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2050107

იმედი, 18 მაისი

შოთა აფხაიძემ, რომელიც გიორგი გაბედავასთან ერთად ტელეკომპანია "კავკასიის" სტუდიაში შეჭრის გამო იხდიდა სასჯელს და 2012 წლის კანონის საფუძველზე, პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა, დასავლეთის დიპლომატიურ კორპუსს მიმართა:

შოთა აფხაიძე: *"გააქტიურეს ეს სექსუალური უმცირესობათა ორგანიზაციები. მიხელ საკაშვილის ამ გუნდმა და მათმა დასავლელმა ლობისტებმა. ეს მინდა ვთხოვო დასავლელ დიპლომატიურ კორპუსს, რომ თავი შეკავონ წინასწარ მკვეთრი განცხადებების გაკეთებისგან".*
http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=4483

რეზონანსი, 18 მაისი

გაზეთმა რეზონანსმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელს კონტრაქციის მონაწილეები აგრესიული შეძახილებით შეხვდნენ:

"ბრიჯიტ ბრინკის გამოჩენას აქტივისტების მხრიდან როგორც სექსუალური უმცირესობების ასევე ნატოს საწინააღმდეგო შეძახილები მოჰყვა. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ კი დაიძახა, რომ "საქართველო ნატოში არ შევა".
http://resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=15625

ძალადობის ქრონიკა

წარმომადგენლებს მუქარით მიმართა.

გიორგი გაბედავა: *"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ოფისს მივმართავ - როგორც ვიცი, თქვენ უჭერთ მხარს "იდენტობას". მინდა მოგმართოთ, რომ თქვენ ხართ საქართველოს მტრები, ვინც მხარს უჭერთ "იდენტობას" და თქვენ მალე აღარ იარსებებთ საქართველოში, როგორც ორგანიზაცია".*

გიორგი გაბედავა, რომელიც რადიკალურ მართლმადიდებელ ჯგუფთან ერთად 2010 წელს ტელეკომპანია კავკასიის სტუდიაში პირდაპირი ეთერის დროს შეიჭრა, რის გამოც სასჯელს იხდიდა, საქართველოს პარლამეტის მიერ 2012 წელს მიღებული კანონის საფუძველზე, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა.
https://www.facebook.com/photo.php?v=557714644252082

ძალადობა სახლხო დამცველის მიმართ

რუსთავი 2, 17 მაისი

კურიერის სიუჟეტი ასახავს აგრესიული ბრბოს შეჭრის მცდელობას მეტრო თავისუფლების შენობაში, ბელინსკის ქუჩაზე განვითარებულ მოვლენებს, სადაც ორგანიზაცია "იდენტობის" ოფისი მდებარეობს და კადრებს, როდესაც სახალხო დამცველს თავისი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა არ მიეცა. კონტრაქციის მონაწილეთა მუქარების გამო, პოლიციამ სახალხო დამცველი ინციდენტის ადგილიდან უსაფრთხოების მიზნით გაიყვანა.
http://www.myvideo.ge/?video_id=2041499

პოლიციის ქმედება აქციაზე

ნეტგაზეთმა და news.ge-მ გაავრცელეს კადრები, სადაც ჩანს როგორ ხსნის პოლიცია დამცავ ჯეგირს და წინააღმდეგობას არ უწევს კონტრაქციის მონაწილეებს გადაადგილდნენ იმ ადგილისკენ, სადაც ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის მონაწილეები იკრიბებოდნენ.

გაგრძელება გვ. 17

აქციის დარბევის შეფასებები

ანტიდასავლური განწყობები

ამბები.გი, 19 მაისი

17 მაისს განვითარებული მოვლენების შემდეგ ფეისბუკის პირად გვერდზე მომღერალმა თამარ ივერმა, რომელიც წამყვან ევროპულ საოპერო თეატრებში საქმიანობს, გამოაქვეყნა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელიც სიძულვილის ენას, ანტიდასავლურ შეფასებებს და შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას შეიცავს. აღნიშნული მიმართვა სააგენტო ამბები.გი-მ სარედაქციო კომენტარის გარეშე გაავრცელა:

თამარ ივერი, მომღერალი: *"გამალებული ნუ ეწევით საქართველოს ხალხის მენტალიტეტში დასავლეთის "ფეკალური მასების" შემოტანა-პროპაგანდას. ნუ გსურთ ეს მასა ლამაზ პაკეტში შეფუთოთ, შანელის სუნამო მოაპკუროთ და ხალხს იგი სამკურნალო, გამაჯანსაღებელ ტალახად წარმოუჩინოთ. რაც არ უნდა ეწყინოს "მეგობარ დასავლეთს", საგედ-ნიეროდ, ქართველმა ხალხმა გენიალურად იცის რა ხილი ჭამოს დასავლეთის მიერ შეთავაზებული მენიუდან და რა არა. ისევე, როგორც ამას ჩემი პატარა ძაღლი ხვდება…*

დღეს კიდევ, ბატონმა ამერიკის ელჩმა განაცხადა, ვინც გუშინ აქციას არბევდა ის ხალხი ნატოს წინააღმდეგიაო. არა, ბატონო ელჩო: გუშინ ვინც აქციას არბევდა, ის ჯერ კიდევ თქვენგან გაურყვნელი "სუფთა სისხლის" ქართველი ახალგაზრდები იყვნენ. არ დამავიწყდება აკანკალებული ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც ტელეკამერაში განაცხადა."ხალხნო, 50 კაცისთვის ათიათასი კაცი გამოვედით ქუჩაში, რადგან სახლში 5 წლის ბიჭი მეზრდება და მისი გონების შებილწვას არავის შევარჩენო". ჩემის მხრიდან კი გეტყოდით, ბატონო ელჩო, რომ მიმიფურთხებია იმ თქვენი ნატოსთვის, ვინც მაიძულებს ჯერ ამ ყოველივეს შეეგუე, ნება დართე, გააპიარე და მერე მიგიღებთო. ასეთი შეიძლება 20, 30 და თუნდაც 100 კაცი გამოერიოს თქვენდა საამებლად, მაგრამ მთელ ერს ამ გზით ნატოში მისაღებად ვერ წაკ...ზავთ!!! საქართველო ნატომდეც და საერთოდ ამერიკის სახელმწიფოს შექმნამდეც ბევრი საუკუნით ადრეც მშვენივრად არსებობდა."

http://www.ambebi.ge/faceambebi/78102-thamar-iveri-prezidents-qnu-atenith-qarthvel-khalkhs-pirshi-dasavlethidan-tsamosul-fekaliebsq.html#ixzz2UaOzwneu

ობიექტივი, 16 მაისი

მსმენელი: *"დავანებოთ ჩვენ იმ ევროპას, იმ ამერიკას, რა გვაქვს ჩვენ იმათი მისაბაძი, როდესაც ჩვენ უნდა მოგვბაძონ… ჩვენ გვყავდა პირველი მეფე, რომელმაც კაცთ კვლა აკრძალა. კაცობრიობაში მეფე პირველი იყო თამარი, რომელმაც აკრძალა სიკვდილით დასჯა მეთორმეტე საუკუნეში… არ გვინდა ჩვენ არანაირი სხვა გაგების უმცირესობა."*

http://obieqtivi.net/tv1.php?id=11958

აქციის დარბევის შეფასებები

გამოხატვის თავისუფლება თუ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა

კავკასია, 17 მაისი

ილია II, საქართველოს პატრიარქი: *"ჩვენ ვემიჯნებით ძალადობას, მაგრამ არ შეიძლება ამისი პროპაგანდა. ადამიანი შეიძლება ჩავარდეს ცოდვაში. უნდა ითქვა, რომ საერთოდ ეს არის ცოდვა და ვერავითარი რელიგია ვერ დაუჭერს მხარს ამ ცოდვას."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2041482

რუსთავი 2, 17 მაისი

17 მაისის აქციის დარბევის ფაქტის შეფასებისას, კურიერთან საუბარში პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, ქართული ოცნების წარმომადგენელმა ზვიად ძიძიგურმა ერთსქესიანობის დემონსტრირება უმრავლესობის უფლებების სერიოზულ შელახვად შეაფასა.

ზვიად ძიძიგური, ქართული ოცნება: *"პირადი ცხოვრების უფლება ყველას აქვს. მაგრამ ახლა იმის დემონსტრირება, მე შვილები მყავს და უმრავლესობის უფლებები სერიოზულად ილახება, როდესაც გამოდიან და დემონსტრირებას მიკეთებენ იმისას, რომ აი, მე ერთსქესიანი ვარ და მაგარი ტიპი ვარ რა."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2041518

ნეტგაზეთი, 17 მაისი

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე თავის შეფასებაში ყურადღებას საზოგადოების მხრიდან სექსუალური უმცირესობების მიუღებლობაზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ ჰომოსექსუალობის პოპულარიზებადა თავს მოხვევა დაუშვებელია.

ზურაბ აბაშიძე, ქართული ოცნება: *"საზოგადოება, ჩემი აზრით, არ არის ბოლომდე მომწიფებული იმისთვის, რაც ხდება. ჩვენ არა ვართ ამისთვის მზად, ქვეყანა , ხალხი არ არის მზად მიიღოს სექსუალური უმცირესობები ერთი ხელის მოსმით და ამის თავს მოხვევა ერთი მხრივ და პოპულარიზება არ შეიძლება."*

http://www.netgazeti.ge/GE/105/News/19710/

ივერიონი, 17 მაისი

სოსო ჯაჭვლიანი, ქართული ოცნება: *„მე მართლმადიდებელი ვარ, მაქვს ჩემი ცხოვრების წესი, ჩემი ტრადიცია და ასე შემდეგ... როცა არავინ არ გერჩის, არ გირტყამს, იყავი რა შენთვის. იცხოვრე, ისე, როგორც შენ გინდა, ოღონდ ნუ აკეთებ ამის პოპულარიზაციას და ნუ ეტყვი ხალხს, რომ გინდა თუ არა მაღიარეო"...*

http://www.iveroni.com.ge/politika/33594-soso-jatcvliani-qes-saqarthveloa-da-yvelam-qarthulad-unda-ickhovrosq.html?lang=ka-GE

საზ. მაუწყებელი, მოამბე, 18 მაისი

ევგენი მიქელაძე, ეროვნული ფრონტი: *"ჩვენ ვითხოვთ, რომ ხელისუფლებამ საკანონმდებლო დონეზე აკრძალოს გარყვნილების და პროპაგანდა, მათ შორის, სექსუალური უკუღმართობა და პროპაგანდა-აგიტაცია."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2044163

ზვიად ძიძიგური: *"მე შვილები მყავს და უმრავლესობის უფლებები სერიოზულად ილახება, როდესაც გამოდიან და დემონსტრირებას მიკეთებენ იმისას, რომ აი, მე ერთსქესიანი ვარ და მაგარი ტიპი ვარ რა."*

სამოქალაქო სექტორის რეაგირება

- 16 მაისს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ და მედიის განვითარების ფონდმა გაავრცელეს განცხადებები, სადაც მოუწოდეს მედია საშუალებებს, ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქცია პროფესიული სტანდარტების დაცვით გაეშუქებინათ, მეორეს მხრივ, მიეღოთ სათანადო უსაფრთხოების ზომები, რათა სამართალდამცავებს მათი მომიტინგეებისგან გამიჯვნის შესაძლებლობა მისცემოდათ.
  http://qartia.org.ge/category/განცხადებები/
  http://mdfgeorgia.ge/index.php?menuid=4&lang=1&id=124

- 16 მაისს განცხადება გაავრცელეს საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ (GDI), საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველომ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია), ადამიანის უფლებებისა და სწავლების ცენტრმა (EMC), კონსტიტუციის 42-ე მუხლმა და სამართლიანმა არჩევნებმა (ISFED). კონტრაქციის მასშტაბისა და კონტექსტის გათვალისწინებით, უფლებადამცველებმა მოუწოდეს პოლიციას, შეემუშავებინათ უსაფრთხოების ეფექტური სტრატეგია და მიეღოთ ყველა ზომა ორივე აქციის მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად. არასამთავრობებმა ასევე მოუწოდეს აქციათა ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, დაეცვათ კანონი.
  http://gdi.ge/?p=272

- 17 მაისს აქციის გაშუქების პროცესში MDF-მა გაავრცელა განცხადება, რომლითაც მოუწოდა მედია საშუალებებს, არ მოეხსენიებინათ ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის მონაწილეები სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებად. გარკვეულმა მედია საშუალებებმა აღნიშნული რეკომენდაცია შემდგომ გამოშვებებში გაითვალისწინეს.
  http://mdfgeorgia.ge/index.php?menuid=15&lang=1&id=123

- 17 მაისს "იდენტობამ" გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ აქციის პოტენციურ მონაწილეთა დევნა თბილისის ქუჩებში კვლავაც გრძელდებოდა, იგეგმებოდა ორგანიზაციის ოფისის დარბევა. "იდენტობა" გამოვლენილი დანაშაულის მყისიერ აღკვეთას, დამნაშავეების დაკავებასა და „იდენტობის" თანამშრომლებისა თუ აქციის სხვა მონაწილეების მიმართ, ძალადობის პრევენციის მიზნით, გამოძიების დაწყებას ითხოვდა.
  http://identoba.com/category/მთავარი/განცხადებები/

სამოქალაქო სექტორის რეაგირება

- 17 მაისს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის მიერ გაკეთებული შეფასებების შესახებ სოციალურ ქსელში განცხადება საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველომ გააკეთა. ორგანიზაციის აზრით, საჯარო პირთა მსგავსი განცხადებები პრობლემის მოგვარების ნაცვლად, მის გამწვავებას უწყობს ხელს.
  https://www.facebook.com/tamar.kintsurashvili/posts/10200782041966460?notif_t=like

- ექვსმა ორგანიზაციამ (საია, GDI, EMC, ISFED, საერთაშორისო გამჭვირვალეობა, კონსტიტუციის 42-ე მუხლი) 17 მაისის აქციათა დაკვირვების პირველადი შეფასება გამოაქვეყნეს და შესაბამის უწყებათა და პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენეს.
  http://gyla.ge/geo/news?info=1569

- 17 მაისის მოვლენების ადეკვატური სამართლებრივი შეფასება მოითხოვეს ფონდმა ALPE-მ და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ. ALPE-მ დაგმო ადამიანთა გრძნობებით ისეთი უსირცხვილო სპეკულაცია, რომელსაც განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ფონზეც მიმართავდნენ პოლიტიკური და რელიგიური რადიკალიზმის მხარდამჭერი ძალები.

- მედიაში 17 მაისის მოვლენების გაშუქების მონიტორინგი განახორციელეს ინტერნეტ-პორტალმა media.ge-მ და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ.
  http://www.media.ge/ge/portal/news/300380/

ძალადობის ქრონიკა

https://www.youtube.com/watch?v=jQ7DqOiap9o
http://news.ge/ge/news/story/55027-kadrebi-rogor-gaarghvies-kordoni-aqtsiis-moantsileebma
https://www.youtube.com/watch?v=dMWk37Wx8Jo&feature=player_embedded
ნეტგაზეთი ცდილობს, გაარკვიოს თავისუფლების მოედანზე მყოფ პოლიციელებისგან, რატომ აშალა პოლიციამ დამცავი ჯვებირები. კადრებში ისმის ერთ-ერთი პოლიციელის სიტყვები, სადაც ის ამბობს, რომ კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილემ მისცა მითითება, აელაგებინათ ჯვებირები.
https://www.youtube.com/watch?v=m8OghfK5b50
ნეტგაზეთმა ასევე გაავრცელა კადრები, სადაც ერთ-ერთი პოლიციელი, ლგბტ უფლებადამცავებს პედერასტებად მოიხსენიებს.
https://www.youtube.com/watch?v=Dci9OzDSwUU
კურიერში (17 მაისი) კი გავიდა შს მინისტრის მოადგილის ვახტანგ გომელაურის კომენტარი, სადაც ის კონტრაქციის მონაწილეთა განწყობებს ქართველობით ხსნის:

> **ვახტანგ გომელაური:** *"საფრთხეს ველოდებით, რა ქართველები ვართ და ელემენტარულად ხალხი არის განწყობილი მასე, რომ არ უნდათ რომ ჩატარდეს ის აქცია, რაც ტარდება."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2041506

17 მაისის შემდეგ ...

P.S., 19 მაისი

17 მაისს განვითარებული მოვლენების შემდეგ, "იდენტობის" წარმომადგენელთა ნაწილი მედიას მიმართავს თხოვნით, მათი ინტერვიუები ეთერში იდენტიფიცირების გარეშე გაუშვას, რასაც მათ მიმართ მომეტებული აგრესიით ხსნიან.

რუსთავი 2-ის 19 მაისის გადაცემა პოსტსკრიპტუმში, ადრე ჩაწერილი ინტერვიუები დაფარული სახეებით გავიდა.
http://www.myvideo.ge/?video_id=2044881

ალ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო,
0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE

17 მაისს ჰომოფობიის და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების შეფასება

გაგრძელება. დასაწყისი 1 გვ.-დან

ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთი შემთხვევები, როდესაც მედია საჯარო პირების დისკრიმინაციული გამოხატვის უკრიტიკო ტირაჟირებას ახდენს. შეშფოთებას იწვევს ასევე 17 მაისის მოვლენების შესახებ ცალკეულ პოლიტიკოსთა შეფასებები, ისევე როგორც მათი ადრინდელი ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ზოგ შემთხვევებში სიძულვილის ენით გაჯერებული გამოსვლები, რაც განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანების, უმცირესობათა ჯგუფების მიმართ შეუწყნარებლობას კიდევ უფრო ამძაფრებს.

საჯარო პირებთან ერთად განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სახელმწიფო ინსტიტუტებს ეკისრებათ. შემაშფოთებელია მედიისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 17 მაისის აქციის დროს ჰომოფობიური განცხადებებითა და დამოკიდებულებებით ლგბტ-ის უფლებადამცველთა მიმართ ცალკეული პოლიციელები გამოირჩეოდნენ.

მედიის განვითარების ფონდი

- უერთდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების იმ ნაწილის განცხადებებს, ვინც 17 მაისს გამოვლენილი მასობრივი ძალადობის ფაქტების, მათ შორის ჟურნალისტთა მიმართ, ასევე ცალკეულ მოქალაქეებზე შემდგომში გახშირებული ძალადობის ფაქტების ეფექტურ გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვენ.

- მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეისწავლოს იმ პოლიციელთა ქმედებები, ვინც 17 მაისის აქციის დროს თავად გამოირჩეოდა ჰომოფობიური განცხადებებითა და დამოკიდებულებებით ლგბტ უფლებადამცველების მიმართ.

- მიმართავს მედია საშუალებებს, მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობით მოეკიდნონ უმცირესობათა თემატიკის გაშუქებას და არ მოახდინონ ადამიანთა დისკრიმინაცია მათი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.

- მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს აღნიშნულ თემებზე საჯარო დისკუსიები და მედიასა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობა, გამოვლენილი პრობლემების დაძლევის მიზნით.

- მნიშვნელოვანია, საჯარო პირები, განსაკუთრებით პოლიტიკოსები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდნონ მათ მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რათა ნებსით თუ უნებლიეთ, არ წაახალისონ ძალადობა, რომელსაც ჩვენი საზოგადოებისათვის გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.